

ქართული ენის გრამატიკული ლექსიკონის კომპაილერი

ლიანა ლორთქიანიძე

liana.lortkipanidze@tsu.ge

პრაქტიკული ინფორმატიკა, კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტი
ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, უნივერსიტეტის ქ.13

ქართული ენის გრამატიკული ლექსიკონის დანიშნულებაა სალექსიკონო ერთეულს (სიტყვას) მიეთითოს მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გრამატიკულად სწორი ფრაზების ასაგებად. სიტყვასთან შეიძლება მიითითებული იყოს: რომელ მეტყველების ნაწილს ეკუთვნის ეს სიტყვა; მისი გრამატიკული მნიშვნელობა; გრამატიკული ფორმები; სიტყვის ხმარების ვარიანტები ან ფორმების არასტანდარტული სტრუქტურა; ფორმების გარჩევა განპირობებული მათი მნიშვნელობების ან ლექსიკური თავსებადობის მიხედვით; შესაბამისი ფორმების სემანტიკური შეუთანხმებლობა, ცალკეული ფორმების არარსებობა ან არხმარება და ა.შ. სიტყვების შერჩევის პრინციპი და მათ შესახებ საჭირო ინფორმაცია შეიძლება სხვადასხვა იყოს გრამატიკული ლექსიკონის დანიშნულების შესაბამისად.

ლექსიკონის ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი იქნება მოქმედი პროგრამული პროდუქტით, რომელიც მომხმარებლის მიერ მოწოდებულ (ნებისმიერ/საწყის) სიტყვაფორმას უპასუხებს ამ ერთეულის სრული პარადიგმით. მისი დემონსტრაცია განხორციელდება მომხმარებლისთვის ხელსაყრელ ინტერაქტიულ რეჟიმში. უნდა აღინიშნოს, რომ სისტემა წარმოქმნის მხოლოდ ისეთ სიტყვაფორმებს, რომლებიც თანამედროვე ლიტერატურულ ნორმებს შეესაბამება.

შესაძლებელი იქნება როგორც ნებისმიერი სიტყვაფორმის შესაბამისი ლემის მოძიება, ისე მისი ფლექსიური პარადიგმის ჩვენება. გარდა ფორმაწარმოებისა, ლექსიკონში გათვალისწინებული იქნება სიტყვაწარმოებაც. ე.ი. მომხმარებელს მიეწოდება საძიებო სიტყვის სრული პარადიგმა და ამ სიტყვის შესაძლო დერივატები. აგრეთვე, შესაძლებელი იქნება დერივაციული ფორმებისა და მათი ფლექსიური პარადიგმების გენერირებაც.

თეორიული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სისტემა ახდენს ენის ცოდნის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტის მოდელირებას, ანუ ასახავს ენობრივი სისტემის შესაძლებლობას შესაბამისი სიტყვაფორმის წარმოებით დააკმაყოფილოს ნებისმიერი გრამატიკული კონტექსტის მოთხოვნა. ამ ასპექტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი მოქმედი ენობრივი მოდელის აგება, რადგანაც მისი ბუნებრივი შესავალი/გამოსავალი უნდა იყოს გამონათქვამი, თავის მხრივ წარმოდგენილი სათანადო სიტყვაფორმების, ანუ პარადიგმის ნებისმიერი წევრის საშუალებით. ენის ცოდნა, ენის ფუნქციონირება, მისი ორმომართულებიანობა, პარალელურობა და, ამავდროულად, ენობრივი მოდელის გამოყენებითი პერსპექტივები (თარგმნა, ენის სწავლება, დიალოგური სისტემები) საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ შემოთავაზებულ გრამატიკულ ლექსიკონს ჰქონდეს მაღალი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. მომხმარებელს, რომელსაც ქართული ენის შესწავლა სურს, შეუძლია მოძებნოს სალექსიკონო ერთეული, რომელიც შეესაბამება ნებისმიერ ტექსტურ სიტყვაფორმას (ტექსტის წაკითხვისას) და პირიქით, შეარჩიოს პარადიგმის ის ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს გრამატიკულ მოთხოვნებს (ტექსტის პროდუცირებისას), ქართული აგლუტინაციური მორფოლოგიის სირთულეს თუ გავითვალისწინებთ, სისტემამ ანალოგიური სამსახური შეიძლება გაუწიოს არასპეციალისტ ქართულენოვან მომხმარებელსაც. თეორიული ასპექტის

შემდეგ ეტაპზე გაანალიზდება ლექსიკონის აგებისას გამოყენებული მორფოლოგიური მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული გრამატიკული ლექსიკონი, მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლების მარკერები, ბუნებრივი ენის მოდელი.